დამკიცებულია: რექტორის ბრძანება
№23/01, 01.08.2023

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მოდერნიზაციის საბჭოს

დებულება

მუხლი 1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მოდერნიზაციის საბჭოს სტატუსი

1. ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის მოდერნიზაციის საბჭოს (შემდგომში – საბჭო) მიზანია არსებული და მოსალოდნელი გამოწვევების შესაბამისად უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისათვის ხელის შეწყობა და რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტში აკადემიური პროცესის, კვლევითი საქმიანობის, ინტერნაციონალიზაციის, ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვისთვის, სტუდენტთა პიროვნული და კარიერული განვითარებისა და სოციალური მხარდაჭერისათვის.
2. საბჭო იქმნება ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის რექტორთან და წარმოადგენს საკონსულტაციო, სარეკომენდაციო ორგანოს.

მუხლი 2. საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

თავის საქმიანობაში საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით.

მუხლი 3. საბჭოს შემადგენლობა

1. საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის ცვლილების საკითხს (გარდა უნივერსიტეტის წარმომადგენლებისა) წყვეტს საბჭო, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რომელიც ფორმდება საბჭოს გადაწყვეტილებით და

მტკიცდება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

2. საბჭოს შემადგენლობაში წევრის სტატუსით შედიან მეცნიერების სხვადასხვა სფეროსა და საუნივერსიტეტო საზოგადოების წარმომადგენლები არაუმეტეს 9 პირისა.

4. საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს უნივერსიტეტის რექტორი.

5. საბჭოს სამდივნოს ფუნქციებს ასრულებს უნივერსიტეტის ერთერთი სტრუქტურული ერთეული რექტორის გადაწყვეტილებით.

მუხლი 4. საბჭოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

1. საბჭოს პრიორიტეტული ამოცანაა არსებული და მოსალოდნელი გამოწვევების შესაბამისად უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

2. საბჭოს ფუნქციებია რეკომენდაციების მომზადება:

ა) უნივერსიტეტში აკადემიური პროცესის გაუმჯობესებისათვის;

ბ) კვლევითი საქმიანობის გააქტიურებისათვის;

გ) უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისათვის;

დ) ადამიანური, ფინანსური და მატერიალური რესურსების მოზიდვისთვის;

ე) სტუდენტთა პიროვნული და კარიერული განვითარებისა და სოციალური მხარდაჭერისათვის.

მუხლი 5. საბჭოს უფლებამოსილებანი და საქმიანობის წესი

1. საბჭოს რეკომენდაციის მომზადების საფუძველია:

ა) რექტორის წერილობითი მიმართვა;

ბ) საბჭოს ინიციატივა.

2. საბჭო ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

3. საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ/ტექნიკური პროცედურები, მათ შორის, საბჭოს წევრთა, საბჭოს თავმჯდომარის და მისი მოადგილის/მოადგილეების, აგრეთვე საბჭოს სამდივნოს უფლებამოსილებანი განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.